

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
სამგორის რაიონის გამგეობა



რაიონის ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო  
შესყიდვის ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 2016

## სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის -----3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია -----4
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი-----10
4. დამატებითი ინფორმაცია-----13
5. დანართი 1 – რეკვიზიტები -----15
6. დანართი 2 – სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა-----5
7. დანართი 3 – ინფორმაცია 2014, 2015 და 2016 წლებში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების (სანიაღვრე ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები) შესახებ ----- 16
8. დანართი 4 - ინფორმაცია ტენდერში მონაწილის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ-17

## ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.7 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.8 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:  
რეკვიზიტები დანართი 1-ის მიხედვით;

### 2.2. ანგარიშსწორების პირობები:

- 2.2.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
- 2.2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარებში.
- 2.2.3. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 2.2.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
- 2.2.5 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ----- მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
- 2.2.6 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

### 2.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

2.3.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი), ცალკეცალკე მისამართზე მთლიანი მოცულობა, ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.3.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

2.3.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობისა და (ა.ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია) თანამშრომელ(ებ)ი.

## 2.4 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები:

### 2.4.1 სანიაღვრე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოთა მისამართი(ებ):

#### 1. ვარკეთილი 3, IIIა, მ/რ, კორპ #341;

შენიშვნა: შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობები ხარჯთაღრიცხვის გასაანგარიშებლად Excel-ის ფორმატით ცალკეულ ობიექტებზე (დანართი 2-ის მიხედვით) და დეფექტური აქტები ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

ხარჯთაღრიცხვის გაანგარიშება უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

#### შენიშვნა:

1. სამუშაოები უნდა შესრულდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად;
2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უნდა მოხდეს სამუშაოთა მაღალი ხარისხის შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;
3. სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ყველა ნორმა: (მ. შ. მოსახლეობისათვის თხრილზე ხის მასალის ცალმხრივ მოაჯირიანი გადასასვლელის მოწყობა, გადასასვლელის შემდგომი დემონტაჟით. გადასასვლელის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 75 სმ; თხრილის/ქვაბულის შემოზღუდვა და შემდგომი მოხსნა; მოძრაობის მარეგულირებელი დროებითი ნიშნების და ციმციმების მოწყობა და შემდგომი დემონტაჟი; სამშენებლო პერსონალის სპეც ჩასაცმელთა აღჭურვა);
4. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 3 (სამი) წელს დაწყებული სამუშაოების დამთავრებიდან;
5. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.
6. ზემო აღნიშნულ ყველა პოზიციაში ასევე ნაგულისხმები უნდა იყოს მასალის ღირებულება.

## 2.5 მოთხოვნები მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ

2.5.1 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს საკუთრებაში ან სარგებლობაში უნდა გააჩნდეს შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა:

№	ტექნიკის დასახელება
1	სატკეპნი (მინიმუმ 1 ერთეული)
2	საინჟინრო ნიველირი, ლარტყით. (აუცილებელია ინსტრუმენტს ემსახურებოდეს მისი მოხმარების მცოდნე პერსონალი) (მინიმუმ 1 ერთეული)
3	ავტო თვითმცლელი (მინიმუმ 1 ერთეული)
4	ექსკავატორი (მინიმუმ 1 ერთეული)
5	კომპრესორი (მინიმუმ 1 ერთეული)
6	ასფალტბეტონის საფარის საჭრელი ხერხი (მინიმუმ 1 ერთეული)

- ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკური საშუალების ხარისხი და ტექნიკური მდგომარეობა უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი შესრულებული სამუშაოების მაქსიმალურ ხარისხს.

## 2.6 მიწოდების ვადა:

2.6.1 სამუშაოები უნდა დასრულდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან - არაუგვიანეს 2017 წლის 01 მაისამდე.

**შენიშვნა:** მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა წარმოადგინოს და შეათანხმოს შემსყიდველთან სამუშაოების შესრულების გეგმა-გეაფიკი.

## 2.8 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.8.1 რეკვიზიტები დანართი №1-ის მიხედვით;

2.8.2. ხარჯთაღრიცხვა დანართი №2-ის მიხედვით;

2.8.3. ინფორმაცია 2014, 2015 და 2016 წლებში განხორციელებული შესრულებული ანალოგიური (საკანალიზაციო ქსელების სამუშაოები) სამუშაოების შესახებ-დანართი 3-ის მიხედვით. წარმოდგენილი უნდა იყოს ანალოგიურ სამუშაოებზე, სულ ცოტა 100000 (ასი ათასი) ლარზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება-ჩაბარებ(ებ)ის ასლ(ებ)ი;

2.8.4 ინფორმაცია ტენდერში მონაწილის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ დანართი 4-ის მიხედვით.

### შენიშვნა:

- სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, უცხოური საწარმოს/უცხოური საწარმოს ფილიალის/წარმომადგენლობის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.
- პრეტენდენტის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.

### 3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ.თბილისი

--- ----- 201- წ.

ერთის მხრივ, ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ----- სახით და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, № SPA----- ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ღებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

#### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

#### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია- ----- შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით (CPV კოდი -----)

#### 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს;
- 3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

#### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;
- 4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ----- მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
- 4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

#### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი), ცალ-ცალკე მისამართზე მთლიანი მოცულობით, ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 5.2 სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველის ტექნიკურ



ზედამხედველის (ა.ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია) და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ: ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის სფეროს თანამშრომელ(ებ)ი.

## 6. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

- 6.1. ----- განხორციელება ----- მისამართი;
- 6.2. ----- განხორციელება ხელშეკრულების გაფორმებიდან 201- წლის -----

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
- 7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- 7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- 7.4. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო სათანადო ხარისხით.

## 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების (მათ შორის გეგმა-გრაფიკის ვადების დარღვევა) შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
- 8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
- 8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
- 9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
- 9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
- 9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დაუძლეველი ძალა

- 10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

### **11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 201- წლის -----.

### **13. სხვა პირობები**

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. სუბკონტრაქტორი არ გამოიყენება.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

### **მხარეთა რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი:**

\_\_\_\_\_

**მიმწოდებელი:**

\_\_\_\_\_

#### 4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14. საკონტაქტო პირი: შოთა ქამხაძე - ტელ: +99532 2 373 058.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ხელმოწერა

\_\_\_\_\_

ბ.ა

ინფორმაცია 2014, 2015 და 2016 წლებში განხორციელებული შესრულებული ანალოგიური (საკანალიზაციო ქსელების სამუშაოები) სამუშაოების შესახებ

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება, ლარი
1			
2			
3			
·			
№			
	სულ:		

შენიშვნა:

1. პრეტენდენტს, თუ არ ექნება განხორციელებული ანალოგიური (საკანალიზაციო ქსელების სამუშაოები) მიწოდება ჯამური ღირებულებით მინიმუმ **100000** (ასი ათასი) ლარი მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;
2. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიურ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება-ჩაბარებ(ებ)ის ასლ(ებ)ი.

ხელმოწერა \_\_\_\_\_  
ბ.ა

ინფორმაცია ტენდერში მონაწილის საკუთრებაში ან სარგებლობით არსებული  
მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ

№	დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	საკუთარი, იჯარით აღებული
1					
2					
3					
.					
№					

შენიშვნა:

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ყველა ტექნიკური საშუალების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პრეტენდენტს საკუთრებაში ან სარგებლობაში თუ არ ექნება სატენდერო დოკუმენტაციის 2.5 პუნქტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.  
პრეტენდენტს, ელექტრონულ სისტემაში ატვირთული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა უნდა ჰქონდეს მუშა მდგომარეობაში.

ხელმოწერა \_\_\_\_\_  
ბ.ა